



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



10492/3-120/21 2 18102021



10492/3-120/21

18-10-2021

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 12, 15 და 17 ივლისს მიმართე საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით, რომელზეც ამ დრომდე არ მიმიღია პასუხი. შეგახსენებთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ვალდებული ხართ გაგვცეთ სრული პასუხი, ხოლო საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებული იყავით ეს პასუხი მოგეწოდებინათ 15 დღის ვადაში.

მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ შეასრულოთ საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პირდაპირი მოთხოვნა და პასუხი გაგვცეთ ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე. თანდართული დოკუმენტების სახით განმეორებით გიგზავნით ამ კითხვებს.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მამუკა ხაზარაძე



7202/3-120/21 2 12072021

7202/3-120/21

12-07-2021

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს


საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით

1. მედიაში გავრცელებული ცნობებით, სათამაშო ბიზნესის კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვის პროცესში დახმარებისთვის 2018 წლის სექტემბერში შემოსავლების სამსახურმა საკონსულტაციო კომპანია დაიჭირავა. რა თანხა დაიხარჯა საკონსულტაციო მომსახურებაში, რა რეკომენდაციები გაიცა კომპანიის მიერ და რა მიმართულებით გაუმჯობესდა სათამაშო ბიზნესის მონიტორინგი ქვეყანაში?
2. გთხოვთ მომაწოდოთ 2017-2021 წლებში ფინანსთა სამინისტროს სათამაშო ბიზნესის სამმართველოში დასაქმებული ადამიანების საერთო რაოდენობა ჩაშლილად წლების მიხედვით.
3. გთხოვთ მომაწოდოთ 2017-2021 წლებში ფინანსთა სამინისტროს სათამაშო ბიზნესის სამმართველოს თანამდებობის პირებზე გაცემული თანამდებობრივი სარგოს, პრემიების, დანამატების საერთო რაოდენობა წლების მიხედვით და ჩაშლილად სტრუქტურული ერთეულების და წლების მიხედვით.
4. გთხოვთ მომაწოდოთ 2017-2021 წლებში ფინანსთა სამინისტროს სათამაშო ბიზნესის სამმართველოს საქმიანობის ანგარიში, ინიცირებული კანონპროექტები და სხვა ტიპის ინიციატივები.
5. გთხოვთ მომაწოდოთ 2019 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით სათამაშო ბიზნესის მიერ (კაზინო, ტოტალიზატორი, სლოტ-კლუბი და ა.შ.) გადახდილი გადასახადები ჯამურად და ჩაშლილად წლების და გადასახადის ტიპების მიხედვით. (სამორინეს მაგიდაზე, სათამაშო აპარატზე, წამახალისებელ

გათამაშებაზე, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე, ლატარიების მოწყობაზე, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე, კლუბის მაგიდაზე და სხვა გადასახადები არსებობის შემთხვევაში (მაგ: ონლაინ სამორინე, ონლაინ ტოტალიზატორი და სხვა)).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მამუკა ხაზარაძე





საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



7431/3-120/21 2 15072021

7431/3-120/21

15-07-2021

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით:

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №611-№1013-ის მე-5 მუხლის “ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა 2016 წლის 1 იანვრიდან დღემდე აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა ობიექტებზე რამდენი შემოწმების პროცედურა განახორციელა ჩაშლილად წლების მიხედვით?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მამუკა ხაზარაძე



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



7490/3-120/21 2 16072021



7490/3-120/21
16-07-2021

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით:

- გთხოვთ მოგვაწოდოთ სათამაშო ბიზნესის (კაზინო, ტოტალიზატორი, სამორინე, სლოტ-კლუბი, ონლაინ-აზარტული თამაშები და სხვა) მიერ 2016 წლის პირველი იანვრიდან დღემდე გადახდილი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების - საშემოსავლო, დღგ, ქონების და მოგების - საერთო რაოდენობა ლარში, ჩაშლილად წლების მიხედვით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მამუკა ხაზარაძე



საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia



<https://edoc.mof.ge/public/#/>

126386-08-03-2-202110201740

N 08-03/126386
20/10/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
მამუკა ხაზარაძეს

ბატონო მამუკა,

თქვენი 2021 წლის 16 ივლისის №7490/3-120/21 და 18 ოქტომბრის №10492/3-120/21 წერილების პასუხად, დანართის სახით გიგზავნით ინფორმაციას სათამაშო ბიზნესის მიერ 2016 წლის იანვრიდან 2021 წლის ივნისის ჩათვლით გადახდილი გადასახადების შესახებ.

დანართი: 1 excel დოკუმენტი.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრი



ინფორმაცია აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვის (გარდა "წამახალისებელი გათამაშების მოწყობა", "აზრობითი თამაშების მიწოდება") მქონე გადამხდელთა მიერ 01.01.2016-30.06.2021წწ. პერიოდში გადახდილი გადასახადების

გადასახადის სახე	საგადასახადო პერიოდი				
	2016	2017	2018	2019	2020
დღგ	9 588 629,84	15 371 166,94	20 989 465,86	20 326 229,55	20 616 083,9
მოგების გადასახადი	60 159 866,24	90 063 608,62	99 565 831,32	117 539 809,77	131 107 914,0
საშემოსავლო გადასახადი	35 255 041,28	47 351 527,51	67 222 862,19	85 102 622,19	61 251 180,5
ქონების გადასახადი (მ.შ. მიწა)	860 062,18	1 014 005,36	1 175 853,04	1 778 106,35	1 213 494,0
სხვა	4 790 409,68	705 767,63	4 530 365,62	4 569 515,35	-3 996 181,8
სულ	110 654 009,22	154 506 076,06	193 484 378,03	229 316 283,21	210 192 490,57

შენიშვნა

გადამხდელი შესაძლოა ეწეოდეს რამოდენიმე საქმიანობას და მის მიერ გადახდილი თანხები არ უკავშირდებოდეს საქმიანობის ერთ სფეროს (მაგ.: სათამაშო ბიზნესს)

"-" მიუთითებს თანხის გადატანას

"სხვა"-ში გაერთიანებულია:

სხვა ჯარიმები

აქციზის გადასახადი

იმპორტის გადასახადი

სხვა

არტული ან/და
ადების შესახებ

2021_6 თვე
9 489 247,5
102 771 104,6
18 273 687,9
1 976 030,7
4 115 948,6
136 626 019,18

იანობის



საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia



<https://edoc.mof.ge/public/#/>

126384-08-03-2-202110201738

N 08-03/126384
20/10/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
მამუკა ხაზარაძეს

ბატონო მამუკა,

თქვენი 2021 წლის 15 ივლისის №7431/3-120/21 და 18 ოქტომბრის №10492/3-120/21 წერილების პასუხად, დანართის სახით გიგზავნით ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ 2016 წლის იანვრიდან 2021 წლის ივნისის ჩათვლით აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა სანებართვო პირობების შერჩევითი შემოწმებების შესახებ.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ COVID-19 პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, 2020 წლის 21 მარტიდან 2021 წლის 1 აპრილამდე (აჭარის რეგიონში - 2021 წლის 1 მარტამდე) აზარტული და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მომსახურების მიწოდება ნებადართული იყო მხოლოდ ელექტრონული ფორმით, შესაბამისად, ამ პერიოდში აზარტული და მომგებიანი თამაშობების ფიზიკურად მოწყობილ ობიექტებს შეჩერებული ჰქონდათ საქმიანობა.

დანართი: 1 excel დოკუმენტი.

პატივისცემით,

ლამა ხუციშვილი

მინისტრი



2021 წლებში განხორციელებული სანებართვო პირობების შერჩევითი შემოწმების შედეგები						
ნებართვის სახე	2016	2017	2018	2019	2020	2021 (იანვარი-ივნისი)
ტოტალიზატორი	190	86	109	98	23	15
სათამაშო აპარატების სალიცენზიო	168	72	126	115	14	11
სამორინე	47	7	26	21	2	0
ლოტო	6	4	7	3	1	0
ბინგო	11	7	8	5	1	1
აზარტული კლუბი	4	0	1	3	0	0
წამახალისებელი გათამაშების	41	64	69	44	5	1
ჯამი	467	240	346	289	46	28